პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი

/2021 წელი/

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს და რეაგირებს საჯარო თუ კერძო დაწესებულებების მიერ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების ფაქტებზე. უწყება მონაცემთა დაცვის საკითხებზე კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ პირებს, ზრუნავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, განიხილავს მოქალაქეთა განცხადებებს და ინსპექტირების გზით ამოწმებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ფუნქციონირებს სამი დამოუკიდებელი დეპარტამენტი (საჯარო სექტორზე, კერძო სექტორზე და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტები), რომლებიც მონაცემთა დაცვის საკითხებს განიხილავენ სექტორულად.

მოქალაქეთა მომართვიანობა

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შემოვიდა 480 განცხადება/შეტყობინება, რომელთაგან 56% შეეხებოდა მონაცემთა დამუშავებას კერძო დაწესებულებებში, 21% - სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო 23% - სხვა საჯარო უწყებებში.

შემოსული განცხადებების/შეტყობინებების რაოდენობა



მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება)

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური საჯარო და კერძო დაწესებულებების მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას ამოწმებს როგორც გეგმურად, ასევე, არაგეგმურად. „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო ინსპექტორის 2021 წლის 6 აგვისტოს №08 ბრძანების მიხედვით, მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება (ინსპექტირება) ხორციელდება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შემოწმებების წლიური გეგმის შესაბამისად. ხოლო, მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმურ შემოწმებას (ინსპექტირებას) სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ატარებს საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის შეტყობინების საფუძველზე.

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჩაატარა 125 მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება). მათგან 69% (86) ჩატარდა არაგეგმურად, ხოლო 31% (39) - გეგმურად.



გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 168 ფაქტი. სამსახურის მიერ გამოვლენილ ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა 59% (99) შეეხებოდა კერძო სექტორში, 24% (40) - საჯარო სექტორში, ხოლო 17% (29) - სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა არაკანონიერ დამუშავებას.

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები



გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთაგან 71 პირს ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა, ხოლო 57 პირს - გაფრთხილება.

გამოყენებული ადმინისტრაციული სახდელები



სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ორიენტირებული იყო არა მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე, არამედ დაწესებულებებში აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზეც. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორი, გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად, თავისი გადაწყვეტილებებით გასცემდა შესასრულებლად სავალდებულო დავალებებსა[1] და ასევე, რეკომენდაციებს.[2] 2021 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გასცა 325 დავალება და რეკომენდაცია, რომელთაგან 48% (157) მიემართებოდა კერძო დაწესებულებებს, 29% (94) - საჯარო დაწესებულებებს, ხოლო 23% (74) - სამართალდამცავ ორგანოებს.

სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები



სამსახურის მიერ გაცემული კონსულტაციები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ეწევა საკონსულტაციო საქმიანობას. ამ მიზნით, მას მომართავენ როგორც კერძო და საჯარო სექტორის

[1] **დავალება** არის სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამმუშავებლისთვის ან/და უფლებამოსილი პირისთვის წერილობითი ფორმით მიცემული შესასრულებლად სავალდებულო მითითება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

[2] **რეკომენდაცია** არის სახელმწიფო ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამმუშავებლისთვის ან/და უფლებამოსილი პირისთვის წერილობითი ფორმით მიცემული რჩევა მონაცემთა დამუშავების პროცესში დარღვევების რისკების შემცირების მიზნით.

წარმომადგენლები, ასევე მოქალაქეები. კონსულტაციები გაიცემა ზეპირადაც (სატელეფონო და პირადი შეხვედრების ფორმატში) და წერილობითაც.

გაცემული კონსულტაციების რაოდენობა

3444